

10

საპროფესიო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საკავშირო ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 იანვარი, თბილისი, 1990 წ.

№ 6 (10175) ზანი 3 პაპ.

გამოქვეყნდა 1934 წლის 13 იანვრიდან

ფეხბურთი-90

ჩვენი სპორტის კვლევის და დიდი წარმატება...

ამ დღეებში თბილისის „დინამოს“ სტადიონის კონფერენციაზე, როგორც ვიუწყებოდით, ჩატარდა „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზედაც საბჭოს წევრებს გარდა ესწრებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ასოციაციების, ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ფეხბურთის სპეციალისტები, ვეტერანები, გულშემატკივრები, სპორტული ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

დღის წესრიგში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებისა და მასში თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მონაწილეობის საკითხი.

კამათში გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ გამოითქვა კომპრომისული მოსაზრებებიც: სხდომაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვას: ზ. გამსახურდიამ, გ. ლორთქიფანიძემ, გ. ბაქანიძემ, ო. ლითინიშვილმა, გ. დემეტრაძემ, ა. იმნაძემ, გ. პეტრიაშვილმა, ო. ძოძუაშვილმა, მ. იაშვილმა, ნ. ჩხატარაშვილმა, გ. ქავთარაძემ, ვ. ელენტიამ, დ. ყიფიანმა, ო. წერეთელმა და სხვებმა.

„დინამოს“ ხელმძღვანელობა, სპეციალისტები, გულშემატკივრები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები ცხარე კამათის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ „დინამო“ გამოვა წლებიდან წლები საკავშირო ჩემპიონატში (აქვე ვიტყვით, რომ ნაწილი არ დაეთანხმა ამ წინადადებას). გამოითქვა აზრი, რომ ჩვენმა უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებმა და საქართველოს პირველობაში გამარჯვებულმა კოლექტივმა, გაითამაშონ „ეროვნული თასი“.

ამასთან, სხდომაზე ხაზგასმით იქცა, რომ შეუნელებლად უნდა გაგრძელდეს უფდასა და ფიფაში გაწევრიანების გზების ძიება, ამ საქმეში უნდა მოვიხილოთ სპეციალისტები, განსაკუთრებით საერთაშორისო სამართლის იურისტები.

შეკრებილებმა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის კონფერენციაზე წასაკითხად ერთსულდოვნად მოიწონეს საქართველოს დღევანდელი განცხადების ტექსტი. ეს ტექსტი გუშინ გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში.

ნაკრები ოთხი ქართველი ქიშკლისტია

ნაკრების გაფორმდა საბჭოთა კავშირის ძიუდოსტთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დიდ საერთაშორისო ტურნირში — „შორიკში“. ტოკიოში სასპარტოლო წინასწარი მონაცემებით უნდა ჩავიდეს ოცზე მეტი ქვეყნის გუნდი.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ამჟამად შეყვანილი არიან: თბილისელები ვ. მოლეძაძე და ვ. პარუნაშვილი, გორელი გ. თენაძე, ქუთაისელი ა. კობორძიძე, აგრეთვე, მახაჩყალელი რ. გამხატოვი, გროზნოელი ბ. ვარაივი, მსკოველი ვ. ბუღეიანი და მინსკელი ლ. სეირიდი.

ლია ნარიდი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს

პატივცემულო დეპუტატებო!

ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეზე უნდა გავამხვილო თქვენი ყურადღება.

26 მაისს, თბილისში ნავარაუდევია ჩატარდეს საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი საქართველოსა და სამხრეთ კორეის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. მოგეხსენებათ, ასეთი მატჩების წინ სრულდება ეროვნული მიმდინარეობის, ხოლო სტადიონზე სახელმწიფო აღმებს აღმართავნი. ისე არ მოხდეს, რომ სტადიონზე ერთი მიმინი შესრულდეს, ათათახობით ადამიანმა კი... სულ სხვა იმდროს, ანაზე ერთი დროსა აღმართონ, გულშემატკივრებმა კი უამრავი სხვა აფრიალონ.

ჩემი ღრმა რწმენით, მართებულა ამ საქმის დროული გადაწყვეტა და ამისკენ მოვაწოდებთ.

პატივისცემით
ალექსანდრა მენდრი,
კინორეჟისორი.



მხოლოდ ტენიკური შედეგები

თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სახელმწიფო 8 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (ალმა-ათა) 100:69 (44:48).

„დინამო“: ფერიაშვილი (31), სანაძე (28), დარსაძე (18), შენგელია (18), ბაქრაძე (10). უსტიაშვილი, დაუშვილი.

ასკ: მელიქიძე (10), ი. ტიხონენკო (10), მეღუშინკო (9), დე მურიანი (9), კირილოვი (7), მარჩენკო (6), კულაგინი (4), ი. ფილიპოვი (5), უუკონენკო (3), კუზნეცოვი (2), ოვჩინიკოვი (2), ა. ფილიპოვი (2).

მსჯელები — ი. გორბატოვი (კუბიშვილი) და ა. სმიროვი (ლენინგრადი).

კიდევ ერთი მატჩი

ბანიართა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი.

რიზა. ადგილობრივი ვაჟთა და სსრ კავშირის ჩემპიონის კიევის „ბუდიველნიკის“ პირველი მატჩი მძაფრი და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ტიპი მასპინძლებმა უფრო აქტიურად ჩაატარეს და 6 ქულით მოიგეს 52:46. შესვენების შემდეგ „ბუდიველნიკმა“ მკვეთრად გამოასწორა მდგომარეობა და ბოლოს გამარჯვებულად მიაღწია 96:94.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 იანვრისათვის

ცსკა	23	21	2	42
ასკ (ალმა-ათა)	22	15	7	37
ვეფ (რიგა)	22	19	10	36
„ბუდიველი“ (კ.)	21	18	8	34
„უალვირ“ (კაუნ.)	21	11	12	34
„დინამო“ (მოსკ.)	20	18	7	33
რტი (მინსკი)	24	9	15	33
„სპარტაკი“ (ლენ.)	24	9	15	33
„კალევი“ (ტალ.)	21	11	10	32
„დინამო“ (თბ.)	21	9	12	30
„შხტორი“ (დონ.)	22	7	15	29
„სტატიბა“ (ვილნ.)	22	2	20	24

სპორტივალაზი სპორტის თასის გათამაშებით იწყებენ

თანამედროვე ხუთბედელთა რესპუბლიკური თასის გათამაშებამ, რომელიც თბილისის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს, ჩვენს საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ წელს, ყოველ მათგანს, სხვადასხვა პასუხისმგებ ასპარეზობაში მოუწევთ გამოსვლა. მათ შორის, უახლოესი, ზამთრის საკავშირო პირველობაა, რომელიც მალე უკრაინის დედაქალაქში გაიმართება. ახლა სწორედ ამ შეჯიბრებისათვის ემზადებიან მთელი მონაწილეობით რევანს ლონიში, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ბორის კაცეზინი, ვიჩესლავ მალოშევი, ნორარ შამოიანი, გიორგი ბერმენიშვილი, იური შეტუხინი და ახალგაზრდობის ის დიდი ჯგუფი, რომელიც მათთან ერთად ძალას სცდის სათასო ასპარეზობაში.

და კიდევ, საკავშირო შეჯიბრებათა წლებიდან კალენდარში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება: ეს გახლავთ ქვეყნის ქალთა ჩემპიონატი. ამ სერიაში გამოიხატოს თბილისის ემზადებიან „ქუთაისელი ამორტალები“ ირინე ჩაჩინი, ტატია კლარკოვა, დეტი ალიონა და ირინა სტარეცკაიები, რომლებიც ვაჟთა მხარდამხარ გამოდიან სპორტულად.



თბილისის ემზადებიან „ქუთაისელი ამორტალები“ ირინე ჩაჩინი, ტატია კლარკოვა, დეტი ალიონა და ირინა სტარეცკაიები, რომლებიც ვაჟთა მხარდამხარ გამოდიან სპორტულად.

აპირიდან მოსახლეობის ჯგუფებისათვის შემოღებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის შედეგებით და უფასოდ მომსახურების სახლი წესი

ეს წესი სპორტულ და სპორტულ-სახალხოობით ნაგებობათა ხელმძღვანელებს ავალდებულებს ბაზის კატეგორიის გათვალისწინებით მოსახლეობას გაუწიოს შედეგითა და უფასო მომსახურება, რისთვისაც დადგენილია ასეთი წესი.

I კატეგორიის სპორტულ ბაზებზე მოსახლეობისთვის გამოიყოფა მთლიანი სამუშაო დროის 20 პროცენტი, აქედან 15 პროცენტამდე შედეგით და უფასო მომსახურებისთვის;

II კატეგორიის ბაზებზე შესაბამისად 40 და 20 პროცენტი;

III კატეგორიის ბაზებზე შესაბამისად 60 და 25 პროცენტი;

IV კატეგორიის სპორტულ ბაზებზე შესაბამისად 100 და 30 პროცენტი.

განსაზღვრულია კონკრეტული დროც — 9-დან 16 საათამდე.

ფიზიკულტურულ-სპორტული და სპორტულ სახალხოობით ორგანიზაციები დროულად აცნობებენ სახალხო დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს მოსახლეობისათვის შე-

ლაგათიანი და უფასო მომსახურების მოცულობის შესახებ და აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას. თუ მომსახურების ობიექტი აღნიშნული ღონისძიების გატარების აღმოჩნდება საფრთხის სირთულეების წინაშე და საჭირო შეიქმნება დამატებითი სახსრები, სახალხო დეპუტატების საბჭოები იღებენ გადაწყვეტილებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ ხარჯების დასაფარავად.

ფიზიკულტურულ სპორტულ-სახალხოობით დაწესებულებებში, ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელში და სპორტულ ბაზებში უნდა უზრუნველყონ მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირება აღნიშნული შედეგების შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებულ საგანგებო ბრძანებას ხელს აწერენ საკავშირო სპორტსაკომისის, საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

„პერსონალის ეფექტის“ ლუკაიტი

კიდევ ერთი სპორტის ოსტატი შემატა საქართველოს სამთმობო-ბილაშვილთა რიგებს. ალმა-ათის მახლობლად — ჩიმბულაკში გამართულ ტრადიციულ საკავშირო შეჯიბრებაზე „ვერცხლის ეფექტის“ საუკეთესოდ გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი — საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, ბაკურიანიელი ოსტატობის კანდიდატი, 20 წლის ლევან აბრამიშვილი („დინამო“). რთული ტრა-

სა მან 1 წუთსა და 51,15 წამში დაფარა და პირველობა მოიპოვა. ამასთან ლ. აბრამიშვილმა სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეისრულა. თუმცა სტარტზე ამჯერად ქვეყნის ყველა უძლიერესი სამთმობო-ბილაშვილი არ გამოსულა, ასპარეზობა მიიწვია, საკმაოდ პრესტიჟული გამოდგა. ჩვენი სპორტსმენის შედეგი დამაიმედებელია ზამთრის საკავშირო სპარტაკიადის წინ.

მეორე და მესამე იდელებზე გავიდნენ ალმათელი მოთბილამურეები ა. გონჩაროვი (15.2,11) და გ. კოლოსკინი (1.52,48).

ამავე ტრასაზე მერვე შედეგი აჩვენა მამუკა დვალიშვილმა (1.43,94), მეთორმეტე — მალხაზ უდგინაძე (1.54,61) და მეჩვიდმეტე — გონა ჭელიძე (1.55,19). სამივე სპორტსმენი მესტიდანა და სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ წევრია.

„ლელოს“ კორ.

წოდების მინიჭება

სახალხო კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

თავისუფალ კიდაობაში — გიორგი ჯანელიძეს (თბილისი, ასკ), კობა ბაკურიძეს (ქობულეთი, „შეგარდენი“), ზაზა გვგუას (სოხუმი, „შეგარდენი“), ამირან ბოლქვაძეს (ქობულეთი, „შეგარდენი“), კპიტონ კვამილავას (სოხუმი, „შეგარდენი“), მერაბ რომანიძეს, რამაზ ხარაზს, გონა სურმანიძეს (სამეგრელო, „შეგარდენი“).

მივე — ქობულეთი, „შეგარდენი“), მინიელ ჯამბერიძეს, რომან კამაზიძეს (ორივე — ბათუმი, „დინამო“);

ფარეკაობაში — ლევან ჩხარტიშვილს (ბათუმი, „შეგარდენი“);

ათლეტიკაში — დავით დავითურს (თბილისი, „შეგარდენი“);

ჩოგბურთში — ანატოლი ახალაძეს (თბილისი, „შეგარდენი“), ლია ტამაროვას (თბილისი, „დინამო“);

სამშობოში — დავით გორგაძეს (თბილისი, „დინამო“).

პიკსოპროტი მებოზრულად, ქმურად, კეთილმეზობლურად!



შესაძლებლობა გვეძლევა მოთხოვნის პირველად გააქონოთ ქართულ ენაზე უფასო წესდება. ვფიქრობთ, ამის შემდეგ ბევრი ამოვიდგება მხარში და დაგვეხმარება ამ საფუძვლიან ორგანიზაციის რიგებში გაერთიანების გზების ძიებაში.

ყოველად გაუგებარი, საშინელი ამბები ხდება ახლა შიდა ქართლში. უსიამოვნო კონფლიქტები შორის სცდება ნორმალური აზროვნებისა და გონების ფარგლებს. სულ რამდენიმე წლის წინ წარმოადგენდა კი ძნელი იყო იმისა, რომ შეიძლება მსგავსი ამბები მომხდარიყო. მე ოსი ვარ. ოსი ვარ და ყოველთვის ვამაყობდი ამით, მუდამ ჩემი ხალხის ღირსეულ შვილად მიმაჩნდა თავი. ჩემი წინაპარი, კონკრეტულად კი ბაბუა, არტემ გუცაივი, ცხოვრობდა ლენინგორის რაიონის სოფელ ქედლორაში, რომელიც სამხრეთ ოსეთში მდებარეობს. სწორედ იქ დაიბადა ჩემი მამა გაბრიელ გუცაივი, რომელიც ჯერ კიდევ ჩემს გაჩენამდე ვადმოსხლდა თბილისში. თავად მე დავიბადე და ვაწარმოე ჩაძალადეში, კარგად მასწავს ჩვენი ენა, სადაც ერთად ვსახლობდით, ვცხოვრობდით და ვიზრდებოდით ქართველები, სომხები, რუსები, ებრაელები, გერმანელები, ოსები და, პატროსან სიტყვას გაძღვეთ, ჩვენს ენაში თავის დღეში სიტყვაც არავის წამოცდენია იმაზე, თუ ვინ რა ეროვნებისა, ან სარწმუნოებისა.

საერთოდ, არასოდეს აზრადაც არავის მოსვლია ფეხბურთელები დევნილი ეროვნული ნიშნის მიხედვით. ჩვენ მუდამ ერთად ვიყავით, ერთად ვვარჯიშობდით, მუდამ დიდ პატივს ვცემდით ერთმანეთს, ერთ-თავად იმას ვცდილობდით, დაგვეცვა საქართველოს პირველი გუნდის თბილისის „დინამოს“ სპორტული ღირსება. მრავალი კეთილი რამ შემიძლია გავიხსენო. ყველანი ერთად ვიზიარებდით ჭირსა და ლხინს, ერთად ვხარობდით, ერთად ვწუხდით, ერთად ვეწვიოდით ჩვენი ძნელი შრომის ქაანს.

ის აღმანიები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე და მე მტრებად ვიქცევით? არა, ამგვარი რამ არ მოხდება. არ არსებობს ძალა, რომელიც იმ წმინდა გრძობებს ხანს გააღუსთავს, რომლებიც ჩვენს შორის არსებობს!

მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები ოსებასა და ქართველებს შორის ძველთაძველი, ტრადიციული მეგობრობის, სიყვარულისა და კეთილგანწყობილების დაუღალავი მოქალაქე. და ვერაფერს ვერაფერით ძალა ამას წინ ვერ აღუდგება. ყველაფერი რაც კი ახლა ხდება, სტიქიური, გაუგებარი მოვლენებია, ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდება და აღარასოდეს არ გამეორდება.

ეს სიტყვები დაგვირე გულწრფელად, ეს ჩემი გულისა და მთელი არსების მოუხელეგელი ტკივილია. წერილი მოვიტანე „ლელოს“ რედაქციაში და მეგობრებს ვთხოვე დაეხმებოდნენ ყოველგვარი შეღავათების, „გარანდის“ და გადასახვერების გარეშე. მირჩენია სტიქიური და ორთოგრაფიული ხარვეზები მქონდეს, ოღონდ წერილია ზუსტად გადასცეს მოთხოვნილებებს, ქართველებსა და ოსებს ყველაფერი ის, რასაც მე გულწრფელი უშუალოდ ვახვიცი. ჩვენი მოვალენი ვართ ვიცხოვროთ მეგობრულად, ძმურად, კეთილმეზობლურად და, დარწმუნებული ვარ, ვიცხოვრებთ სწორედ ასე!

აპსუნი „ლელოს“

„კვებავთ და კვებავთ...“

თქვენნი გაზეთის 6 და 7 იანვრის ნომერებში გამოქვეყნდა წერილი „კვებავთ და კვებავთ...“ კრიტიკული შენიშვნები ეხებოდა ზამთრის არდადეგების პერიოდში სპორტული ღონისძიებების ჩატარებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

კრიტიკა მივიღეთ. სპორტკომიტეტმა ორშაბათს, 8 იანვარს საწარმოო თათბირზე იმსჯელა „ლელოს“ პუბლიკაციებზე და ბრძანებით კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს დაევალიათ დარჩენილი ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფა. ქალაქის განათლების სამმართველოს ფიზიკური

კვადიტობა

„კვებავთ და კვებავთ...“

ზრდის სექტორის გამგეს (კ. ჩხაიძე) დაევალია მიიღოს მკაცრი ზომები ღონისძიებების ჩაშლაში დამნაშავე პირების მიმართ და კონტროლი გაუწიოს დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარებას.

სპორტკომიტეტი უახლოეს სხდომაზე შეაჯამებს დაგეგმილი შეჯიბრებების ჩატარების შედეგებს და მკაცრ შეფასებას მისცემს გამოვლენილ ნაკლოვანებებს.

გატარებული ღონისძიებების შეხახებ გაცნობებთ დამატებით.


ა. სანიძე,
ქ. თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

პირველად ახალი სისტემით

თბილისის ჰიდრაქის სასახლეში მიმდინარეობს დედაქალაქის ქალთა პირველობა. შეჯიბრებაში, რომელიც შევიცარიული სისტემით, 11 ტურად ტარდება, მონაწილეობს 25 მოქალაქე. 6 ტურის შემდეგ 5,5 ჯულით შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა ქალაქის სამზღის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ლელა თანდაშვილი (მწვრთნელი ვასილ ვაშაქიძე).

წლებადედი ჩემპიონატში I-IV ადგილის მფლობელები დღემდე იან საქართველოს პირველი ლიგის პირველობაზე, რომელიც გაიმართება თბილისში. იქ პირველ შვიდ ადგილზე გასული მოქალაქეები რესპუბლიკური ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის „ვიზას“ დაუფლდება, საუკეთესო ოფხუელი კი სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.

თამარ ხშირადაშვილი.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მუსლი 1

წევრობა — შტაბინა

1. კონფედერაციის სახელწოდება ვეროპის საფუძვლიანი ასოციაციის გაერთიანება (უფა).
2. უფა-ს წევრობა შეუძლია ევროპის ნებისმიერ საფუძვლიანი ასოციაციას. აგრეთვე, ასოციაციებს — როგორც ფუძემდებელი ერთადერთ მაკონტროლებელ ორგანოს თავის ქვეყანაში, აღიარებულ ფიფა-ს მიერ.
- საფუძვლიანი ასოციაციას წევრად იღებენ და ამტკიცებენ უფა-ს კონგრესზე. აღმასრულებელი კომიტეტი უფლებამოსილია ნება დართოს ამა თუ იმ საფუძვლიანი ასოციაციას დროებით წევრობაზე. საკითხის შემდგომი განხილვა და რეაქტივირება მოხდება უახლოეს კონგრესზე.
3. უფა-ს წევრი ასოციაციები ვალდებული არიან:
 - ა) დაიცვან და შეასრულონ უფა-ს წესდება და დადგენილებები;
 - ბ) ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტაში დაემორჩილონ უფა-ს მართლმსაჯულებას (მუსლი (21));
 - გ) უფა-ს შტაბინა შეეცარიან და და მისი სხვა ქვეყანაში გადატანა უფა-ს წევრი ასოციაციების უმრავლესობის თანხმობის გარეშე არ შეიძლება.

მუსლი 2

უფა-ს საქმიანობა და მოვალეობა

1. უფა-ს საქმიანობა:
 - ა) გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რაც დაკავშირებულია ევროპულ ფეხბურთთან;
 - ბ) ხელი შეუწყოს უფა-ს წევრ ასოციაციებს შორის მეგობრული სპორტული ურთიერთობის განვითარებას და დაიცვას მათი ინტერესები;
 - გ) ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ევროპაში სხვადასხვა საფუძვლიანი შეჯიბრებების ჩატარებას, რომლის მონაწილეობის ისარგებლებენ თანაბარი უფლებებით განურჩევლად რასისა, რელიგიისა და პოლიტიკისა;
 - დ) მოაწესრიგოს და განიხილოს სხვადასხვა უთანხმოებები, სადავო საკითხები, საფუძვლიანი პრიბლეგები საერთო წესით;
 - ე) ორგანიზაცია გაუწიოს შეჯიბრებებს, ტურნირებს (მუსლი 13) და მატჩებს;
 - ვ) გამოცეს ბიულეტენები, რომლებიც ასახავენ ინფორმაციას უფა-ს მუშაობისა და მოლოცვების შესახებ, გამოიწვევენ საყოველთაო ინტერესს და გაკეთებული იქნება ასოციაციის წევრთათვის და პრესის მუშაკთათვის;
 - ზ) შექმნას კომიტეტი, რომელიც კონტროლს გაუწევს უფა-ს წესდებისა და მოვალეობის დაცვას;
 - თ) დადგინდეს, რომ არ ჩამოყალიბდეს უფა-სა და ფიფა-ს თანხმობის გარეშე ასოციაციები, ლიგები და კლუბთა სხვადასხვა დაკავშირებები, რომლებიც არ შედიან წევრი ასოციაციების საზღვრებში;
 - ი) მოაწყოს შეჯიბრებები საკლუბო გუნდებს შორის წევრი ასოციაციების ქვეყნებისათვის;
 - კ) შეინარჩუნოს კონტაქტი და თანამშრომლობა ფიფა-სთან საკონსულტაციო კომიტეტის სახით. საკითხების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალური კომისია;
 - ლ) დაიცვას ფიფა-ს სტატუსი და წესდება;
 - მ) შეისწავლოს ფიფა-ს ყრილობის დღის წესრიგი;
 - ნ) შეინარჩუნოს ერთსულლოვნება საერთო საფუძვლიანი საკითხების გადაწყვეტაში ასოციაციის წევრ ქვეყნებს შორის;
 - ო) უფა-ს არჩეულმა და დანიშნულმა წარმომადგენლებმა ფიფა-ში დაიცვან ევროპული ფეხბურთი და უფა-ს ინტერესები.

მუსლი 3

საკანონმდებლო ორგანო

კონგრესი არის უფა-ს საკანონმდებლო ორგანო.

მუსლი 4

აღმასრულებელი ორგანო

უფა-ს აღმასრულებელი ორგანოებია:

1. აღმასრულებელი კომიტეტი;
2. საგანგებო კომიტეტი;
3. ტურნირების და შეჯიბრებების მომწყობი უფა-ს საორგანიზაციო კომიტეტი;
4. დისციპლინარული კომიტეტი და სააპელაციო საბჭო;

მუსლი 5

უფა-ს კონგრესი

1. კონგრესი იმართება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ფიფა-ს კონგრესის დაწყებამდე. კონგრესის თავმჯდომარეობს პრეზიდენტი.
- პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მას ცვლის ვიცე-პრეზიდენტი.
2. კონგრესის დღის წესრიგს ადგენს აღმასრულებელი კომიტეტი. დღის წესრიგი ოთხი კვირით ადრე ეგზავნება წევრი ასოციაციებს.
3. დღის წესრიგი უნდა მიიღონ კონგრესზე:
 - ა) დანიშნოს კონტროლი;
 - ბ) დანიშნოს „სამი დღეგატი, რომლებიც დღის წესრიგის თითოეულ წერილობის გულდასმით შეამოწმებს მანამდე, სანამ ის გადაეგზავნება წევრ ასოციაციებს;
 - გ) დამტკიცდეს გენერალური მდივნის მოხსენება;
 - დ) მოისმინონ დამსწრეთა განცხადებები. მოისმინონ და შეაფასონ წლიური საანგარიშო მოხსენებები;
 - ე) აირჩიონ უფა-ს პრეზიდენტი, რომელიც აგრეთვე ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტიც იქნება. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები, რომელიც უზრუნველყოფს კანონის ზუსტ და მკაცრ დაცვას;
 - ვ) აირჩიონ ფიფა-ს აღმასრულებელ კომიტეტში უფა-ს წარმომადგენლები. ის პირები, რომლებიც არიან ფიფა-ს შემადგენლობაში, არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ;
 - ზ) აირჩიონ უფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები (მე-6 მუსლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით);
 - თ) აირჩიონ სარევიზიო (საკონტროლო) ჯგუფი ორი წლის ვადით (მუსლი 7, პარაგრაფი 6);
 - ი) განიხილონ უფა-ს წესდებაში და სტატუსში შესატან ცვლილებებზე შემოსული წინადადებები;
 - კ) იმსჯელონ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით შემოსულ წინადადებებზე;
 - ლ) განიხილონ და დამტკიცონ დეკრეტი უფა-ს რიგებიდან წევრი ასოციაციების გაორცილებაზე;
 - მ) შეისწავლონ ფიფა-ს ყრილობის დღის წესრიგი;
4. საკითხები, რომლებიც არ შეიგნა დღის წესრიგში, შეიძლება შეთანხმდეს და გადაწყდეს კონგრესის მონაწილე ასოციაციის ორი მესამედის მიერ და სასწრაფოდ მიიღონ მხედველობაში.
5. თუკი აღმასრულებელი კომიტეტი ჩათვლის საჭიროდ ან ყრილობის ორი მესამედი მოთხოვნის წარადგენს წერილობით, შეიკრიბება საგანგებო კონგრესი, რომლის დღის წესრიგში შევა მხოლოდ ასეთი საკითხები.
6. დელეგაციების სამზავრო და საცხოვრებელ ხარჯებს იხდიან შესაბამისი ასოციაციები.
7. თუ რომელიმე ასოციაციის სურს ჩართოს რაიმე წინადადება დღის წესრიგში, მან გასაგებდ უნდა ჩამოაყალიბოს აზრი და წარუდგინოს გენერალურ სამდივნოს ყრილობის დაწყებამდე 3 თვით ადრე. აუცილებელი არ არის კანდიდატი იმ ასოციაციას ეკუთვნოდეს, რომელმაც ის წარადგინა.
8. ფიფა-სა და უფა-ს აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნებში მონაწილე კანდიდატების გვარები უნდა წარადგინონ ყრილობის დაწყებამდე 2 თვით ადრე.
9. კანდიდატი, რომელიც უფლებამოსილი იქნება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, უნდა ეკავოს თანამდებობა იმ ასოციაციაში, რომლის წარმომადგენელიც ის არის (თავისი ქვეყნის ასოციაციაში).
10. წევრი ქვეყნის ასოციაციის უფა-ს აღმასრულებელ კომიტეტში არ უნდა ჰყავდეს ერთ წევრები.
11. თუ პრეზიდენტი ან წევრი, რომლებიც უფლებამოსილი არიან იყვნენ არჩეულნი და არ მოისურვენ მხარი დაუჭირონ გადარჩევას, მათმა ერთგულმა ასოციაციებმა უნდა აცნობონ ამის შესახებ გენერალურ სამდივნოს ოთხი თვით ადრე.
12. თუ პრეზიდენტი ან წევრი, რომლებიც უფლებამოსილი არიან იყვნენ არჩეულნი და არ მოისურვენ მხარი დაუჭირონ გადარჩევას, მათმა ერთგულმა ასოციაციებმა უნდა აცნობონ ამის შესახებ გენერალურ სამდივნოს ოთხი თვით ადრე.



რეპრეზენტაციის მსოფლიო ჩემპიონის ინტერვიუ

„ლელეო“ წინა ნომერში დაამთავრა ჯორჯიაში მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვის ინტერვიუს ბეჭედი, რომლის გამოთქვამებმა საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მონეტოლში, მკალოთა, ხაზი გაუსვეს ჯორჯიის გვირგვინისანი მეფის ამ „მკდარ სვლას“. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამმართველოს უფროსის გ. გერასიმოვის გა-

ცხადებით, კასპაროვის „ფანტასტიკური იდეას“ არაფერი აქვს საერთო საბჭოთა კავშირის ოფიციალურ პოზიციასთან. მონეტოლში გაზეთებში დაიბეჭდა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აღშფოთებული გამოხატუებები. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო მთავრობის საზოგადოებრიობის ოფიციალური პროტესტის მიღება, აი, ასეთი საიმპროვიზო შედეგები გამოიღო ერთმა დამუშავებელმა ინტერვიუმ.

„დინამო“ თუ „უნირია ბრიკოლერი“

რუმინეთში ბოლო დროს მომხდარი ამბების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ბუქარესტის „დინამოს“ შემსრულებელთა გუნდს ხახვლის შეცვლას უპირებენ. ამერიკიდან იგი „დინამო“ კი არ იქნება, არამედ „უნირია ტრიკოლერი“ („ხამფეროვანთა კავშირი“).

ამ ცნობამ უფეს-ს შტაბბანაში ერთგვარი გაუგებრობა და შეშფოთება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ამ ორგანიზაციის წევრების თანახმად, ერთი გათამაშების განმავლობაში კლუბმა ერთი სახელწოდებით უნდა იასპარეზოს. ამდენად ბუქარესტის „დინამოს“ სურვილი უფეს-ს საგანგებო შემთხვევა უწოდებდა.

რუმინეთის ეს გუნდი, როგორც ცნობილია, თავისი მფლობელთა თანხა გათამაშების მეოთხედისაღმა ვასული და 7 და 21 მარტს მორიგ მატჩებში იუგოსლავიის „პარტიზანს“ შეხვდება. „ფრანს პრესის“ სააგენტოს ცნობით იუგოსლავიის ერთ-ერთი გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ბუქარესტის დინამოელებს, ამის გამო, დისკვალიფიკაცია ემუქრებათ. მაგრამ უფეს-ს ამ ცნობის რეალურობა უარყო და დასძინა, რომ უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც საკითხს განიხილავს.

ამავე დროს ევროპის საფეხბურთო კავშირმა თხოვნით მიმართა რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციას, დაედასტურებინა რამდენად რეალურია ბუქარესტის „დინამოს“ ეს სურვილი.

ფეხბურთის ახალი აზრები

ახლა, როცა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატზე ცხარე ბრძოლა გაიშალა და გზის დაახლოებით ნახევარი გავლილია, გაზეთმა „მატეოტა დელა სპორტა“ მოაწყო თავის მკითხველთა გამოკითხვა. მათ ასეთი კითხვები მისცეს: 1) ვინ გახდება ჩემპიონი? 2) ვინ იქნება ჩემპიონატის №1 სწრაფი? 3) ვინ მივაჩნიათ ჩემპიონატის ნამდვილ ალმონჩანად?

თუ პასუხებიც: უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჩემპიონი გახდება „ნაპოლი“, რომელიც გაასწრებს „ინტერს“, მომდევნო ადგილებს გენუის „სამპდორია“ და „მილანი“ დაიკავებენ (ამ ორმა გუნდმა თანაბარი წმენი მიიღო). ჩემპიონატის საუკეთესო სწრაფი გახდება დასავლეთგერმანელი კონსტანცი, რომელიც „ინტერში“ თამაშობს. პირველობის ნამდვილი ალმონჩანა „იუვენტუსის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი სკოლარი.

პლატინიუმი გაასწრო მარადონას

უფეს-ს ევილით მოეწყო ევროპის ქვეყნების ნაკრებების მწვრთნელის გამოკითხვა. მათ უნდა დაესახელებინათ საუკეთესო ფეხბურთელი, რომელიც, 1980 წლიდან მოყოლებული, ევროპულ გუნდებში თამაშობდა.

„ათწლეულის“ №1 ფეხბურთელი მიჩნეულია პლატინი, რომელმაც 50 ხმა მიიღო. 47 ხმით მეორეა მარადონა, ვან ბასტენმა—24, გულიტმა—13, კარეკამ—6, ზოკომ და კემპესმა—5-5 ხმა, შილტონმა, სტოიკოვიჩმა, ტიჯანამ და ოლსენმა კი თითო.

სუპერთანი

ბრაზილიელმა, წლის ბოლოს იმართება მატჩი კალთბურთში იუგოსლავიის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის. ამჯერად ერთმანეთს პირისპირ წარუდგებიან ჩემპიონი სპორტის „იუგოსლავისტიკა“ და თასის მფლობელი ბელგრადის „პარტიზანი“. ამ გუნდების შეხვედრა თავისებურ ევროპულ სუპერთანსაც წააგავდა. საქმე ისაა, რომ „იუგოსლავისტიკა“ ჩემპიონთა თასის მფლობელია, ხოლო „პარტიზანი“—კორპისა.

„იუგოსლავისტიკას“ წარმატება არავის აუკუვედა. „პარტიზანი“ ისე ვეღარ ბრწყინავს, როგორც შარშან და ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. როგორც ცნობილია, პროფესიონალებში გადავიდნენ გუნდის ლიდერები ვლადი დიკაი და ჯორჯო პასალი. ამიტომ მოულოდნელი არ იყო, რომ „პარტიზანმა“ სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია ჩემპიონს. „იუგოსლავისტიკას“ უპირატესობა უკვე პირველ ტაიმში გამოიკვეთა და იგი თორმეტი ქულით დაწინაურდა (40:28). მეორე ტაიმში, როგორც იქაური პრესა აღნიშნავს, „იუგოსლავისტიკას“ სულაც არ გასჭირვებია მომავებული უპირატესობის შენარჩუნება, მტკიცედ ფლობდა ინიციატივას და მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. 83:67 გაიმარჯვა „იუგოსლავისტიკამ“ და დაეუფლა ქვეყნის სუპერთასს.

მირაზ პალანდამა

პებროვინი და ნაიჩი
ავტორიტეტული გაზეთის „მატეოტა დელა სპორტის“ წინასახალწლო კონკურსში იუგოსლავიის კალთბურთის წარმომადგენლებს ხვდათ წილად წარმატება. ვაჟთა შორის საუკეთესო იყო სახელგანთქმული დრაჟენ პეტროვიჩი, ხოლო ქალებში მისი თანამემამულე დანია ნაიჩი.

რედაქტორი
თ. შაჩინილაძე.

სოფლიო სამოხი პარსკვლავები

2006 გრეტციის პოპულარობას კანადაში ძველია მოუძებნო სხვა ქვეყანაში ანალოგი: მას ერთგულ-ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფენომენს უწოდებენ, მისი ნომერი „99“ ფართოდ გამოიყენება კანადელთა ზეპირმეტყველებას და გამოიყენება „უდიდესის“ ნაცვლად. ამიტომ გასაგებია ის აღშფოთება, რომელიც 1988 წელს გრეტციის ამერიკულ კლუბ „ლოს-ანჯელეს კინგზში“ გადასვლამ გამოიწვია. პარლამენტი წევრმა ნელსონ როსმა მთავრობისგან ამ ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა: „გრეტციის კანადის ერთგული სიმბოლოა, ისევე როგორც თახვი“ — განაცხადა მან.

ლოს-ანჯელესის გუნდის მებატონე ბრიუს მანელი ზემოთადა: გრეტციის ყიდვის პირველსავე დღეს 1000 შეკვეთა მიიღო სეზონურ აბონემენტებზე. ხოლო ბილეთის ფასმა 10-დან 25 დოლარამდე აიწია. კანადაში კი უფროსი ყოფილი კლუბის „ედმონტონ ოილერზის“ მებატონე მილიონერ პიტერ პოკინგტონს ლანდდავდნენ: „ვინმე რომ ჰკითხოს, მშობელ დედას შეიდ (ქნდა თუ გაყიდოს). უარს არ იტყვის. უბრალოდ. დაცილი, იქნებ ვინმე რვა ცენტი შემოთავაზოს“.

თუ გრეტციამ ასე განმარტა კალიფორნიაში დასახლების გადაწყვეტილება: „ჩემი გადასვლის მიზეზები უფრო პირადი ხასიათისაა. ასე აჯობებს ჩემთვის, ჩემი ცოლისა და ჩემი ბავშვებისთვის, რომლის დაბადებას ელოდებით“. საქმე იმაშია, რომ შარშან მან ცოლად შეირთო კინოსახიობი ჯანეტ ჯონსი, რომელიც, ბევრი პოპულარული ამერიკელი მსახიობის მსგავსად, პოლიციის მახლობლად ცხოვრობს ლოს-ანჯელესში.

ასე გამოეთხოვა უფრო გრეტციის ედმონტონის, სადაც მისი სახელი ცხრა წლის განმავლობაში ლამის თვით ქალაქის სახელწოდების სპორტულ სინონიმად იქცა. იგი ჩვეულებრივ ოსტატობით თამაშობდა „კინგზის“ შემადგენლობაში.

და მაინც, ალბათ სიმბოლურია, რომ შარშან, 16 ოქტომბერს, სწორედ ედმონტონში (თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ გამართულ მატჩში) გააუჭობესა გრეტციის ნოს-ს რეკორდი — 1850 ქულა სისტემით „გოლი პლუს პასი“, — რომელიც ლეგენდარულ გორდი პოუს ეკუთვნოდა. პოუს 26 სეზონი დასჭირდა, რათა 1980 წელს ამ, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, ფანტასტიკური შედეგისთვის მიეღწია (801 გოლი გაიტანა და 1049 შედეგიანი გადაცემა გააკეთა).

1980 წელს, ალბათ, ვერაინ წარმოიდგენდა, ასე მალე თუ შეძლებდა ვინმე პოუს შედეგთან უბრალოდ მიახლოებასაც კი. გრეტციის სულ რაღაც 10 სეზონის განმავლობაში დაეწია პოუს, ოქტომბერში მას 1852 ქულა ჰქონდა (642 გოლი პლუს 1210 გადაცემა), მაგრამ საკმარისი გუნდის შემადგენელი ყოფილიყო, შედეგებში მოკლე ხანში ვერაინ შემდგომად: მხოლოდ ხუთი წელი თამაშობს ნოს-ში „პიტსბურგ პინგვინის“ უნიკური თაგვანსხმელი 24 წლის მარიო ლემო, აქედან ერთადერთი წელი აქვს გატარებული ძლიერ

კლუბში, მიუხედავად ამისა, მან უკვე მოასწრო 300 შაბის გატანა და 415 შედეგიანი გადაცემის გაკეთება.

პროფესიული ჰოკეის „მეფედ“ მიჩნეულმა უფრო გრეტციამ დიდი ხნის წინათ დაიწყო ზეასვლა. უკვე 6 წლის ასაკში უწოდებდნენ უფროს „ფენომენს“. მას შემდეგ, რაც მან ერთ-ერთ ტურნირში 50 შაბი გაიტანა, გრეტციამდე ნოსში არ ყოფილა ჰოკეისტი, რომლის საშუალო შედეგებთან თამაშში 1,4 ქულას აღემატებოდა. გრეტციის შედეგია 2,37 ქულა. საერთოდ კი იგი 16 ოქტომბრამდე ფლობდა ან ხევისთან იყოფდა ნოს-ს 50 რეკორდს.

არადა, გრეტციის ფენომენი საკმაოდ ძველი ასახსნელია. საქმე იმაშია, რომ მას არც რაღაც გამორჩეული ფიზიკური მონაცემები აქვს და არც განუმეორებელი ტექნიკური ნიჭი. ბოლო პაღს უძლიერესი დარტყმა ჰქონდა, ბოში ორს — „მეტეორის სიჩქარე“, მორის რიშარდის შეჩერება შეუძლებელი იყო — შეეახვისას მკველებს პანტა-პუნტით აქეთ-

უბუნნი არიან უკან დაიხიონ. გრეტციის, როგორც მარჯვენადან, ისე მარცხნიდან, გვერდის ავლის უამრავი ვარიანტი აქვს, ამიტომ მკველებს სხვა აღარაფერი დარჩენია: უკან უნდა გასრიალდნენ და მანქანის ჩასატარებელი სივრცე დათმონ. ასეთ შემთხვევაში გრეტცი ან მარჯვნივ გადაინაცვლებს, ან მარცხნივ, წინ სწრაფ გვერდით თვდამსხმელებს გაუშვებს, თვითონ კი პოზიციას ირჩევს შეტევის გასაგრძელებლად. როცა მთელი სამეფო ზონაში აღმოჩნდება, უფრო კიდევ უფრო საინფორმაციო ნიჭი მატყის კარისთვის.

და მაინც, გრეტციის ტექნიკური, თუ ტაქტიკური ოსტატობის უბრალო ანალიზით ვერ ახსნი, როგორ იღვებს ხოლმე იგი ხელთ (სხვა დიდ სპორტსმენთა მსგავსად) თამაშის სიღვივებს. აქ დაიღვინა ასე აღწერს ამ ფენომენს: „ყოველ ადამიანს აქვს მომადლებული ამა თუ იმ ზომით, ეგრეთ წოდებული, მეექვსე გრძობა, ისე იგი უნარი, გარკვეულ გარემოებებში წინასწარ იგრძობს ის მომენტი, როცა წარმატების მისაღწევად აუცილებელია

უფრო გრეტცი

იქით ისროდა ხოლმე. გრეტცი კი სხვებს ვერც ათლურობით დაჯახბის, ვერც ღონით და ვერც სისწრაფით. გრეტციის ოსტატობა უფრო ხელმოწევის, ან, როგორც ბევრი ფიქრობს, „ჰოკეის გენის“ სფეროშია საძიებელი. გრეტციის თამაში სასაბოლოო საყურებლად, მაგრამ უაღრესად რთული საქმეა მისი ანალიზი.

გრეტციის ტექნიკური ოსტატობაზე მსჯელობისას ამტკიცებენ: იგი ცოფურებზე ძლიერ დასას; მის მიერ ნატურისტიკური ფაზა კარამდე ძლიერ აღწევს; იმდენად სუსტი, ძველ დროში რომ ეთამაშა, მკველები წამდაუწყებლად პორტს იქით ისროდნენო. ამბობენ, თითქოს გრეტციის წარმოდგენა არ ჰქონდეს რას ნიშნავს სიტყვა „დაცვა“. ყველა-ნელ აზრი სიმართლის რატომაც კი შეიცავს; მაგრამ მეტისმეტად არის გაზვიადებული.

ვერც ბევრ მოთამაშეს ვერ გაეჯობრება სწორ ხაზზე რბენის სისწრაფეში და არც მისი ციფურებით სრიალის მანერას დაერქმევა ლამაზი: იგი ძალიან იხრება წინ და მართლაც იქნება შთაბეჭდილება ეს-ესაა დაეცემა. მაგრამ უფრო ზოხინა არ არის. უბრალოდ, ჰოკეისტი ზედმეტ ძალას არ ხარჯავს. თანაც, „ოილერზის“ მწვრთნელ გუნდს საზოგადო ტაქტიკური ჩანაფიქრის მიხედვით, მას ძალზე იშვიათად უხდებოდა მეტოქეებთან შეჯიბრება „სწორ ხაზზე სირბილში“ და საქმარისი იყო მკველთა ზურგს უკან აღმოჩენილიყო, რომ აღვიდა უკვე ვეღარავინ დაეწეოდა. გარდა ამისა, გრეტციის ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს: იგი დიდ სიჩქარეს ავითარებს მოხვევისას და სირბილისას.

მისი ყოფილი პარტნიორი, მეკარე ონ ლოუ ამბობს: „გრეტცი განსაკუთრებით სახიფათო ხდება მაშინ, როდესაც იგი მოედნის ცენტრიდან ლურჯ ხაზს უახლოვდება. ხაზთან რომ მივა, მკველები იძუ-

ლდებიან. თუ აქცმა ხელიდან გაუშვას ეს უტყუარი მომენტი, მას გამოუსწორებელი შეცდომის პანიკური გრძობა იპყობს და, წამითაც რომ დაავიანოს რეაგირება, მისი მოქმედება ნაკლებად ეფექტური იქნება. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, „დროის შეჩერების“ უნარი შემდეგში მდგომარეობს: ადამიანს, რომელსაც უფრო აქვს განვითარებული უტყუარი მომენტის წინათგრძობა, ზედმეტი წამი რჩება, რათა მოემზადოს და საჭირო დროს მოქმედების საუკეთესო ვარიანტი აირჩიოს, მაშინ, როცა სხვებს, ვინც იჩქარა ან დაავიანა, პანიკა იპყრობს.

მეგალითად, როცა ჰოკეისტი შიბით უახლოვდება კარს, ორივენი, მეკარეც და მოთამაშეც, გრძობენ სახელოდ რა მომენტში შესრულდება ტყორცა და, როცა ეს მომენტი დდება, თითოეული მათგანი ყველაფერს აკეთებს, რათა საკუთარი ამოცანას გაართვას თავი. ძალიან ცოტა მოთამაშეს ძალუქს ისე თამაში, რომ ამ „რეზონირებად“ რიტმს არ დაემორჩილოს. ასეთი ჰოკეისტი ცოტა მეტ ხანს გააჩერებს შიბის და ამით რიტმს დაუბრუნებს მეკარეს. მას შეუძლია მთელი თამაშის რიტმი დაარღვიოს. მაშინ ირგვლოვ ყველას პანიკა ეუფლება. სწორედ ასე თამაშობს გრეტცი.

აი, მისთვის ტრადიციული ეპიზოდი: გრეტცი მოწინააღმდეგის კარს უკან დგას, შიბა თითქოსდა მიეწეება უკანაზე, და როცა შემოფოთებული მკველები უთავბოლოდ წრიალებენ და სწორი პოზიციის დაკავებას ცდილობენ, გრეტცი პრაქტიკულად უძრავად არის აჩანებული და უშფოთებულად ელის თავის მომენტს. ასეთი ეპიზოდები დამახასიათებელია გრეტციისთვის. მათში გრეტცი უფრო ხელსაყრელია საკუთარ რიტმზე ააწყოს თამაში და მისი ბატონ-პატრონი გახდეს.

ჩვენი მისამართი:
წერილებსთვის — 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14, ღებუნიანისთვის — თბილისი, „ლელეო“.

რედაქციის ბალანსი:
წერილებს განყოფილება — 88-97-55, ხაზები — 88-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 88-97-53, „მერანი“ — 88-97-56, მარჯე — 88-97-57.

ჩვენი ინფორმაცია:
საქართველოს კ. ც.ს.ს. გამოცემის შრომის წითელი დროის ორგანიზაცია სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოცხეტობა წილად საკუთარი კორპუსის: ბიზნეს-პლან, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უფ 08701.